

№ 25.11.19/5

25 11 2019

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის  
ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის  
უფროსის ბატონ გალაქტიონ ბუაძეს

ბატონო გალაქტიონ,

თქვენი N14-0119309727 05/11/2019 წლის წერილის შესაბამისად წარმოგიდგინთ ხარისხის  
დაცვის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიას.

დანართი: საბანკო გარანტია #CQB/19 – 000364 18.11.2019 წ. – 1 ფურცელი;

პატივისცემით,

დირექტორი

ნინო კვიციანი





დეფექტებზე პასუხისმგებლობის საბანკო გარანტია

№ CQB/19 - 000364 18.11.2019 წ.

გარანტი	სს „არდი დაზღვევა“ სკ: 404858631
მიმწოდებელი / პრინციპალი:	შპს ჯეუ გრუპი სკ: 205251537
შემსყიდველი / ბენეფიციარი:	ქ.თბილისის მერია სკ: 204521794
საგარანტიო თანხა:	19 009.06 ლარი
საგარანტიო ვადა:	18.11.2019-დან – 30.05.2021-ჩათვლით
საგანი / პროექტი:	SMP190000451, ქ. თბილისში, თბილისის და ვარაზის ქუჩებიდან სოფ. აგარაკამდე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები
ძირითადი ვალდებულების საფუძველი:	პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის 30/01/2019წ. გაფორმებული ხელშეკრულება #01.01.01/10/36.

- ვითვალისწინებთ რა, რომ ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის გაფორმდა სახელმწიფო შეყიდვების შესახებ ხელშეკრულება (იხ. ძირითადი ვალდებულების საფუძველი), რომლის საფუძველზე მიმწოდებელმა იკისრა პასუხისმგებლობა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ხარისხიან შესრულებაზე.
- საგარანტიო ვადაში ხარისხის საგარანტიო უზრუნველყოფის მიზნით, ვკისრულობთ უპირობო (რაც გულისხმობს, რომ საგარანტიო თანხის ანაზღაურების შესახებ შემსყიდველის წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა, მოთხოვნისა და/ან მოთხოვნილი თანხის ყოველგვარი დასაბუთების და ყველაწიერი დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულების გარეშე) და გამოუთხოვად ვალდებულებას, ამ საბანკო გარანტიის წერილის პირობების გათვალისწინებით, პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში „შემსყიდველს“ გადაგიხადოთ მოთხოვნაში მითითებული თანხა, მაგრამ არაუმეტეს გარანტიის თანხისა.
- ეს საბანკო გარანტია მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფას, მაგრამ არ მოიცავს პრინციპალზე დაკისრებულ საჯარო ან კერძოსამართლებრივ სანქციას (ჯარიმა, პირგასამტეხლო და სხვ.) ან დამატებით ხარჯებს (ექსპერტიზის საფასური და სხვ.).  
ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა იყოს წერილობითი ფორმის, ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ, და გარანტს უნდა წარედგინოს საგარანტიო ვადაში. მოთხოვნის წარდგენის დღედ ითვლება მოთხოვნის უშუალოდ გარანტთან ჩაბარების დღე (მის.: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №3). დაუშვებელია მოთხოვნის ელექტრონულად, ფაქსით ან სხვა საშუალებით წარდგენა.  
გარანტიის პირობების დარღვევით განხორციელებული მოთხოვნა არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

18.11.2019  
 მანია ქამუშაძე  
 სააპერაციო ადმინისტრირების  
 დეპარტამენტის უფროსი

1921